სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს №21/2809 (20/04/2023) წერილის შენიშვნებზე პასუხი.

1.სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში იცვლება მხოლოდ გამოსასვლელი პორტალის ადგილმდებარეობა, თუმცა, წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ასევე იცვლება გვირაბის ტრასა და სიგრძე, რაც წარმოდგენილ დოკუმენტში ასახული არ არის. ამასთან, გვირაბის გამოსასვლელი პორტალის ადგილმდებარეობის ცვლილების გათვალისწინებით, დასაზუსტებელია ე.წ TBM ბაქნის ადგილმდებარეობის საკითხი;

აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებულია. (ანგარიშის გვ.5)

2. ცხრილ 2.7-ში მითითებულია, რომ ცვლილების შემდგომ სადაწნეო მილსადენის სიგრძე იქნება 543 მეტრი, ხოლო წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ სადაწნეო მილსადენის სიგრძე შეადგენს 530 მეტრს, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დასაზუსტებელია სადაწნეო მილსადენის საწყისი წერტილის GPS კოორდინატები (X-273417.45 Y-4726801.05);

აღნიშნული შენიშვნა გათვალისიწნებულია.

3. ვინაიდან წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმების შედეგად საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ტერიტორიასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ.

აღნიშნული შენიშვნა გათვალისიწნებულია. (გვ.13)